მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2010 წლის 8 ნოემბრის ბიუროს
სხდომის ოქმი №10

ქ. მცხეთა

დ. აღმაშენებლის ქ. № 73, 12.00 სთ.

სხდომის თავმჯდომარე – მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე – ანდრო კალანდაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ი. მარტოლეკი – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, გ. ატაშვილი – იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, თ. ღვინიაშვილი – საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, გ. ბაქრაძე – აგრარულ საკითხთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე, გ. კუპრაშვილი – სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ნ. ქაშიაშვილი – ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, ი. იორდანიშვილი –ფრაქცია „მაჟორიტარი"-ს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე, საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მ. მრევლიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე ქ. აქიაშვილი, საკრებულოს სპეციალისტები იურიდიულ საკითხებში მ. ლომოური, ბ. კოზმანაშვილი, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი – ი. ელგენდარაშვილი

დამსწრეთა რაოდენობით ბიუროს სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და სხდომის თავმჯდომარემ წარმოადგინა დღის წესრიგი:

1. პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ". მომხსენებელი თ. ღვინიაშვილი.

2. პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ოქტომბრის №48 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე". მომხსენებელი გ. ბაქრაძე

3. პროექტი „მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცებისა და საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ.” მომხსენებელი გ. ბაქრაძე

4. საკითხი „ქ. მცხეთაში მცხოვრები ია სიგუას კუთვნილი საცხოვრებელი სახლისათვის საფოსტო მისამართის მინიჭების შესახებ.” მომხსენებელი ნ. ქაშიაშვილი

5. საკითხი „ქ. მცხეთაში დავით აღმაშენებლის ქ. №65 –ში მდებარე ორსართულიანი ექვსბინიანი საცხოვრებელი სახლის (შენობა-ნაგებობა №02) ბინების საფოსტო მისამართის მინიჭების შესახებ.” მომხსენებელი ნ. ქაშიაშვილი

6. საკითხი „ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქსნის დამისამართების შესახებ.” მომხსენებელი ნ. ქაშიაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს.
დღის წესრიგი მიღებულ იქნა ერთხმად.
თავმჯდომარე გადავიდა საკითხების განხილვაზე.

მოისმინეს:

. 1. პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.” მომხსენებელი თ. ღვინიაშვილი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტი “ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ” მომზადებულია “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის “კ” ქვეპუნქტის, “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის, “ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ” მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 სექტემბრის **№ 1239** განკარგულებით – **740.0** ათ. ლარის (**500.0** ათ. ლარი მცხეთის ისტორიული უბნების რეაბილიტაცია და **240.0** ათ. ლარი გარემონტებული შენობების

მისანათებელი სამუშაოები) და ადგილობრივი შემოსულობების საფუძველზე **941.3** ათ. ლარი. (მიწის გაყიდვიდან – **613.5** ათ. ლარი).

მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის დაზუსტების პროექტი ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს: ჭარბი **941.3** ათ. ლარი (**901.3** ათ. ლარი დაემატა ქ. მცხეთის ისტორიული უბნების რეაბილიტაციას, **20.0** ათ. ლარი დაემატა სამკურნალო დაწესებულებებში სოც. დაუცველი მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციების ჩატარების ხარჯებს და **20.0** ათ. ლარი დაემატა სოფ. წეროვანში ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობას).

მიმდინარე დაზუსტებით, მცხეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის ასიგნებები გაიზარდა **740.0** ათ. ლარის ტარნსფერით, **941.3** ათ. ლარის ადგილობრივი შემოსავლებით და მთლიანად შეადგინა **19 414.2 ათ. ლარი.**

კომისია წინადადებით შემოდის, პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

2. პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ოქტომბრის №48 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე". მომხსენებელი გ. ბაქრაძე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ა/წლის 3 ნოემბრის №3174 წერილში გამოთქმული სამართლებრივი შენიშვნების გათვალისწინებით ზემოთაღნიშნული დადგენილება უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად, რადგან „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 19^2 მუხლისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 19-ე მუხლის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასისა და სარგებლობის ქირის ოდენობის დადგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

3. პროექტი „მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცებისა და საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ.” მომხსენებელი გ. ბაქრაძე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დასამტკიცებლად წარმოდგენილია საპრივატიზებო ქონება კერძოდ 600კვ.მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ქ. მცხეთაში აღმაშენებლი ქუჩის მიმდებარედ, რომელიც შედის მუნიციპალიტეტის საკუთრებად არსებული 36552 კვ.მ. მიწის ფართში. ნაკვეთის პრივატიზებაზე მიღებულია თანხმობები შესაბამისი უწყებებიდან, ხოლო საწყის გასაყიდ ფასად განისაზღვრა 1კვ.მ 40 ლარის ოდენობით. კომისია შემოდის წინადადებით, საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

4. საკითხი „ქ. მცხეთაში მცხოვრები ია სიგუას კუთვნილი საცხოვრებელი სახლისათვის საფოსტო მისამართის მინიჭების შესახებ.” მომხსენებელი ნ. ქაშიაშვილი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შემოსულია ქ. მცხეთაში კოსმონავტების ქუჩის მოპირდაპირე ქუჩაზე მცხოვრებ ია სიგუას განცხადება, რომელიც ითხოვს თავისი ბინისათვის საფოსტო მისამართის მინიჭებას.კომისიამ ადგილეზე მისვლით შეისწავლა განცხადება და ი. სიგუას ბინას მიანიჭა საფოსტო მისამართი: კოსმონავტების ქუჩა № 12ბ. საკითხი ექვემდებარება საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

5. საკითხი „ქ. მცხეთაში დავით აღმაშენებლის ქ. №65 –ში მდებარე ორსართულიანი ექვსბინიანი საცხოვრებელი სახლის (შენობა-ნაგებობა №02) ბინების საფოსტო მისამართის მინიჭების შესახებ.” მომხსენებელი ნ. ქაშიაშვილი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შემოსულია ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქ. №65-ში მცხოვრები ქეთევან თათარაშვილის განცხადება, რომელიც აღნიშნავს, რომ ზემოთ აღნიშნულ კორპუსში ბინის ნომრები მეორდება და ითხოვს ბინების ხელახალ ნუმერაციას. კომისიამ შეისწავლა წარმოდგენილი მასალები და ბინებს მიანიჭა ახალი საფოსტო მისამართები. საკითხი ექვემდებარება საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

7. საკითხი „ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქსნის დამისამართების შესახებ.” მომხსენებელი ნ. ქაშიაშვილი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და ქსნის ტერიტორიული ორგანოს მიერ განხორციელდა სოფ. ქსნის დამისამართება, კერძოდ ქუჩების საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა- ნაგებობების დანომვრა, ქუჩების სახელდება. კომისიამ განიხილა წარმოდგენილი დანართები და წინადადებით შემოდის, საკითხი განხილულ იქნეს სხდომაზე.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგი ამოიწურა.

თავმჯდომარემ საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ანდრო კალანდაძე**